ინტერნეტის თავისუფლება საქართველოში

ანგარიში №1 - 2013 წლის ივლისი-სექტემბერი

ანგარიში მომზადებულია პროექტის „ინტერნეტის თავისუფლების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს Stichting Free Press Unlimited ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან პარტნიორობით.

ავტორები:

თამარ იაკობიძე
თეონა ტურაშვილი

ოქტომბერი 2013

ნაწილი I: კონტექსტი

ინტერნეტ მომხმარებლები საქართველოში

საქართველოში თანდათან ფეხს იკიდებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები. 2000 წლიდან მოყოლებული სწრაფად იზრდება ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის გამოყენების სანდო სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირება და ჩვენება შესაძლებელია სხვადასხვა კვლევებზე, საერთაშორისო და სამთავრობო ინსტიტუტების მიერ მომზადებულ ანგარიშებზე დაყრდნობით.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის, გაეროს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალიზებული სააგენტოს გამოთვლების მიხედვით, ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის 45%-სთვის არის ხელმისაწვდომი.[1] ამას გარდა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს ინტერნეტ მომხმარებელთა შესახებ 2012 წლის სტატისტიკური მონაცემები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან (GNCC) მოიპოვა. მიღებულ დოკუმენტში გამოთხოვილი ინფორმაცია კლასიფიცირებული იყო რეგიონების, ქალაქების, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ მომსახურების მომწოდებლების მიხედვით.

ამ მონაცემებით, სადენიანი ინტერნეტი ძირითადად თბილისშია გავრცელებული - მისი მომხმარებელთა ოდენობა 250 ათასს აჭარბებს. დედაქალაქს მოჰყვება ქუთაისი, აჭარა და რუსთავი 25 530, 24 838 და 23 446 მომხმარებლით, შესაბამისად.[2] რიგ ქალაქებში (ზუგდიდი, მარნეული, გორი, სენაკი) გაცილებით მეტი უსადენო ინტერნეტ მომხმარებელია დაფიქსირებული. მიღებული მონაცემების მიხედვით, საერთო ჯამში, საქართველოში სადენიანი ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა 392 436, უსადენო ინტერნეტ აბონენტთა ოდენობა 17 872-ია. აღსანიშნავია, რომ GNCC-ის ბოლო ანგარიშის მიხედვით, Wifi ყველაზე დინამიურად განვითარებადი ტექნოლოგიაა: „იგი ძირითადად, რეგიონებში ვითარდება, იქ, სადაც სადენიანი ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.“[3] რაც შეეხება მობილური ინტერნეტის აბონენტთა შესახებ ინფორმაციას, 3G ტექნოლოგიას საქართველოში უკვე 298 424 აბონენტი იყენებს.[4] ფართოდაა აღიარებული, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი 3G-ის გამოწერის შესაძლებლობაა, რადგან იგი უკეთ ასახავს მობილური საშუალებებით ინტერნეტთან წვდომის ტენდენციებს.

---

[1] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) 2000-2012 წლებში ინდივიდების მიერ ინტერნეტ გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები“, ბოლო ნახვა 28.09.2013, www.itu.int/en/ITU-D/Statistics/.../Individuals_Internet_2000-2012.xls

[2] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. Opendata.Ge. 2012 წლის სტატისტიკური მონაცემები საქართველოში სადენიანი, მობილური და უსადენო ე.წ „ჰოსტინგის“ მომსახურების მიმღებთა შესახებ. ბოლო ნახვა 28.09.2013, http://goo.gl/yjeSJR

[3] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში 2012, ბოლო ნახვა 27.09.2012. http://www.gncc.ge/files/3100_2949_681569_ANNUAL%20REPORT%202012.pdf

[4] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. Opendata.Ge. 2012 წლის სტატისტიკური მონაცემები საქართველოში სადენიანი, მობილური და უსადენო ე.წ „ჰოსტინგის“ მომსახურების მიმღებთა შესახებ. ბოლო ნახვა 28.09.2013, http://goo.gl/yjeSJR

ერთ-ერთი ყოვლისმომცველი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვა, კავკასიის ბარომეტრი, ინტერნეტ მომხმარებელთა მიახლოებული რაოდენობის გამოთვლის საშუალებას იძლევა. თუ შევადარებთ ბოლო ორი წლის მონაცემებს, გამოჩნდება, რომ გარკვეულწილად გაზრდილია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ყოველდღიურად იყენებენ ინტერნეტს. 2011 წელს დედაქალაქის მაცხოვრებელთა 41% იყენებდა ინტერნეტს ყოველ დღე. ეს მაჩვენებელი მომდევნო წელს 46%-მდე გაიზარდა. სოფლებში დაფიქსირდა ინტერნეტ მომხმარებელთა ოდენობის 3%-იანი ზრდა, 4%-დან 7%-მდე.[5] ამგვარად, საქართველოს ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უნდა იყოს ინტერნეტ დაფარვის უთანაბრობის, ე.წ. ციფრული ნაპრალის, გადალახვა. სოფლის დასახლებები საჭიროებენ სათანადო ყურადღებას საკომუნიკაციო სისტემების ოპერატორებისგან, სერვისის მიმწოდებლებისგან და სახელმწიფოსგან.

მზარდი ტენდენციის მიუხედავად, ცხადია, რომ ინტერნეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა ახალი ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მმართველობის განვითარებისთვის ძირეულ გამოწვევად რჩება. სხვადასხვა კვლევებმა და ანგარიშებმა გამოავლინეს ინტერნეტის გავრცელების ცალკეული დაბრკოლებები: მომსახურების შეუსაბამო ფასები, შეუფერებელი ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური პრობლემები, საჭირო უნარების ნაკლებობა და ა.შ.

მაგალითად, CRRC-ის 2012 წლის კავკასიური ბარომეტრის მიხედვით, ინტერნეტთან დაკავშირების დაბალი სიხშირე შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული: ინტერნეტის ნაკლები საჭიროება (27%), ტექნიკის მაღალი ფასი (24%), ნაკლები დაინტერესება (18,6%), არასაკმარისი ინტერნეტ განათლება (12%).[6]

საქართველოში ინტერნეტ გარემოს სათანადოდ შესაფასებლად აუცილებელია იმის განხილვა, თუ რა წერტილებიდან ახერხებენ მომხმარებლები ინტერნეტთან წვდომას. ახლად გამოქვეყნებული NDI-ის ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობის იმ 53%-დან, რომელსაც ხელი მიუწვდება ახალ ტექნოლოგიებზე, 41% აცხადებს, რომ ინტერნეტში სახლიდან შედის. საქართველოს ინტერნეტ მომხმარებელი Wi-Fi-ის თითქმის არასდროს (0-1%) იყენებს, მაშინ როცა მობილური ტელეფონით ინტერნეტზე წვდომა მოსახლეობის 6%-ისთვის არის ხელმისაწვდომი.[7]

მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა ქცევის ანალიზი. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სოციალური მობილიზაციაზე, სამოქალაქო განათლებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფაზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საშუალებების გავლენის განსაზღვრისთვის. საინტერესოა რა ტიპის მომსახურებას ეძებენ და ითხოვენ ონლაინ ყველაზე ხშირად ინტერნეტის მომხმარებლები. რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ინტერნეტ

---

[5] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2012) „კავკასიის ბარომეტრი“. http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/ on 20.09.2013

[6] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2012) „კავკასიის ბარომეტრი“. http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/ on 20.09.2013

[7] ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. კვლევის ანგარიში 2013. ბოლო ნახვა 21.09.2013. http://www.ndi.org/node/20641

მომხმარებლებისთვის პრიორიტეტი სოციალურ ქსელების შემოწმება, ინფორმაციის მოძიება, სკაიპით საუბარი და ელ-ფოსტის სარგებლობაა. უნდა აღინიშნოს, რომ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს ინტერნეტს როგორც ახალი ამბებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ. დღეისათვის ეს რიცხვი მოსახლეობის 20%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის ეს სეგმენტი პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციას ძირითადად სოციალურ ქსელ Facebook-დან (78%), ახალი ამბების სააგენტოებიდან (27%) და რამდენიმე ვიდეო-პორტალიდან (Youtube (26%) და Myvideo.ge (21%) იღებს.[8]

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და კანონმდებლობა

საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების სექტორი რეგულირდება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით, რომელიც განსაზღვრავს ამ სექტორში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) კომპეტენციებს.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის რამდენიმე ელემენტი, მათ შორის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება. ელ-გამჭვირვალობის მოქმედი მაგალითები მოიცავს შემდეგს:

- ყველა ნორმატიული აქტი ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე და აქვს ოფიციალური იურიდიული ძალა;
- შესაძლებელია ელექტრონული შესყიდვების განხორციელება, ხელმისაწვდომია მიმწოდებლების ე.წ „შავი“ და „თეთრი“ სია, შესყიდვების შედეგები და დოკუმენტები და ა.შ.
- 2013 წლის გაეროს საჯარო სამსახურის ჯილდოთი დაჯილდოებულ ვებ-გვერდზე ელექტრონულად ქვეყნდება ქონებრივი დეკლარაციები;
- დაბადებისა და გარდაცვალების ცნობების მიღება შესაძლებელია ელექტრონულად;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან კომუნიკაცია ელექტრონულადაა შესაძლებელია, მაგალითად, ელექტრონული მოთხოვნით;
- სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები გადახდისუუნარობის საქმეებზე ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში;
- საბაჟო კოდექსის მიხედვით, ყველა ელექტრონულ დოკუმენტს ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორიც მატერიალურს;
- მშენებლობის ნებართვა შეიძლება გაიცეს ელექტრონულად;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ელ-ფოსტა არის მოსარჩელის ერთ-ერთი რეკვიზიტი;
- საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, სარჩელის წარმდგენ მხარეებს შეუძლიათ რეკვიზიტებში მიუთითონ ელ-ფოსტა;

[8] ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. კვლევის ანგარიში 2013. ბოლო ნახვა 21.09.2013. http://www.ndi.org/node/20641

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ელექტრონული შეტყობინება ითვლება ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;
- ელ-ფოსტით შესაძლებელია საბაჟო გამშვები პუნქტების ინფორმირება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესახებ, კონსულტაცია საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე, სტრუქტურული ქვე-დანაყოფებიდან ოპერატიული ინფორმაციის მიღება;
- ელ-ფოსტით მიღებული ინფორმაცია შეიძლება გახდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მონიტორინგის განხორციელების საფუძველი;
- მუნიციპალურ ორგანოებში კორესპონდენციისა და სხვა ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელ-ფოსტის მეშვეობით;
- ელ-ფოსტით მიღებული ინფორმაცია შეიძლება გახდეს გენერალური ინსპექციის მიერ ინსპექციისა და შემოწმების განხორციელების საფუძველი;
- პოლიტიკური გაერთიანებების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ჩაბარება შეიძლება ელ-ფოსტის მეშვეობით.[9]

მიუხედავად ამისა, ერთიანი, რეგულირებული და სისტემატიზებული პოლიტიკის ნაცვლად ეს მხოლოდ ერთეული მაგალითებია. საინტერესოა, რომ როგორც 2012 წელს საჯარო დაწესებულებების ელ-რესურსების მონიტორინგმა აჩვენა, საქართველოში ელ-მმართველობის მასშტაბები კვლავაც შეზღუდულია. [10]

2013 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს მთავრობის 2013 წლის ივლისის №219 დადგენილებისა და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, დაინერგა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული მოთხოვნის ახალი სტანდარტი. [11] ცვლილებები შესაძლებელს ხდის საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ მოთხოვნებს, აგრეთვე, საქართველოს საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნებას.

ინტერნეტის მოხმარების შეზღუდვა

საქართველოში ინტერნეტის თავისუფლებას რამდენიმე ნორმატიული აქტი არეგულირებს: საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი აღნიშნავს, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით, მაშინ როცა

[9] სრული სია და თითოეული შემთხვევის აღწერა შეგიძლიათ ნახოთ: სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს საკანონმდებლო აქტებში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2013.
http://www.idfi.ge/?cat=researches&lang=ka&topic=109&header=

[10] საჯარო დაწესებულებების ინტერნეტ რესურსების მონიტორინგის რეიტინგი, 2011,
http://www.idfi.ge/?cat=monitoring_2011_charts&lang=ka

[11] საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“.
http://goo.gl/57scpM

აკრძალულია მედია შეზღუდვები და ცენზურა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი, ასევე, უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას. 2004 წლის კანონით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ უზრუნველყოფილია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, თუმცა აგრეთვე ცნობს იმ შემთხვევებსაც, როდესაც დასაშვებია ამ უფლებების შეზღუდვაც. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი არეგულირებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, საქართველოს კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (2011 წლის 28 სექტემბერი), კანონი პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ (2004 წლის 24 ივნისი), კანონი ინტელექტუალური საკუთრებისა და დაკავშირებული უფლებების შესახებ (1999 წლის 22 ივნისი) ეხება ინტერნეტის კონტენტს.

საინტერესოა, რომ ინტერნეტს სპეციალურად მხოლოდ ერთი კანონი ახსენებს - საქართველოს კანონის პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ მიხედვით, მედია განმარტებულია, როგორც „მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდური ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის ინტერნეტი“[12], თუმცა შინაარსის რეგულაცია მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, რაც გამოწვევაა ინტერნეტის საშუალებით გამოხატვის თავისუფლებისთვის. რაც შეეხება საქართველოს კანონს მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, მასში არ არის მოხსენიებული ინტერნეტის მეშვეობით საზიანო შინაარსის მქონე კონტენტის გავრცელების საკითხი. საქართველოს კანონის - ინტელექტუალური საკუთრებისა და დაკავშირებული უფლებების შესახებ - შემთხვევაში არ არსებობს „გამოქვეყნების“ სპეციალური განმარტება, თუმცა რადგანაც იგი მხოლოდ რომელიმე ტიპის მედიით არ შემოიფარგლება/იზღუდება, ის შეიძლება უკავშირდებოდეს ინტერნეტში ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების რეგულაციას.[13] ზოგადად, ინტერნეტ სერვისების პროვაიდერებს არ აქვთ უფლება დაუშვან ისეთი მასალის გამოქვეყნება, რომელიც აკრძალულია (მაგალითად, პორნოგრაფია) ან არღვევს სხვების უფლებებს (მაგ. საავტორო უფლებები).

პრაქტიკაში ეს საკითხი რეგულირებული არ არის და GNCC-ში აქამდე არ ყოფილა დავები ინტერნეტის შინაარსის შეზღუდვებზე. ასევე, საქართველოში, არ არსებობს ინტერნეტ კონტენტის შეზღუდვის ბევრი შემთხვევა. 2011 წელს, საქართველო-რუსეთის 2009 წლის ომის შესახებ ფილმის „ხუთდღიანი ომის“ არალეგალური გადმოწერის თავიდან ასარიდებლად, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მოთხოვნის საფუძველზე, დაიბლოკა ტორენტ გვერდები და P2P ფაილების გასაზიარებელი სერვისები.[14] გარდა ამისა, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს ინტერნეტ სერვისების პროვაიდერებმა შეზღუდეს რუსულ მედია ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომობა.[15] ამის გამოკლებით, ინტერნეტ კონტენტი ზედმეტად ხელმისაწვდომი და დაუცველია ისეთი არალეგალური მასალებისგან, როგორიცაა მოპარული პროგრამები, მუსიკა და კინო.

---

[12] მუხლი 1; საქართველოს კანონი პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ

[13] ინტერნეტი, თავისუფლება და რეგულაცია ეუთოს რეგიონში, ინტერნეტ მმართველობა საქართველოში, გვ. 137-140

[14] თავისუფლება 2012, ინტერნეტისა და ციფრული მედიის გლობალური შეფასება, გვ. 4-5 http://www.freedomhouse.org/sites/default/files/Freedom%20OnThe%20Net_Full%20Report.pdf

[15] იქვე., გვ. 178.

ნაწილი II: ტენდენციები და განვითარება

სოციალური მედია და ინფო-აქტივიზმი

ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ეფექტურ კომუნიკაციას, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას. მეტად პოლიტიზირებული და პოლარიზებული ტრადიციული მედიის პირობებში, როდესაც მთავარი გავლენიანი ტელეკომპანიები, რომელთა დაფარვის ზონა მთლიან საქართველოს მოიცავს, ძირითადად რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდება, მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის ონლაინ მედია და სოციალური ქსელები ალტერნატიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო გახდა საქართველოში. 2013 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული NDI-ის ანგარიშის მიხედვით, გამოკითხულთა 6%-სთვის ინტერნეტი ინფორმაციის პირველი წყაროა, 14%-მა იგი ახალი ამბების რიგით მეორე მიმწოდებლად მიღების დაასახელა.[16]

სოციალური აქტივიზმის პერსპექტივიდან, ალტერნატიული და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებასთან ერთად, თანაბრად განმსაზღვრელი ფაქტორია მოქალაქეების ინტერაქცია და სოციალური აქტივობა, საკუთარი მოსაზრებების გაზიარების, ონლაინ დისკუსიისა და ფორუმებში აქტიურობის სახით. თუმცა, აშკარაა, რომ ინტერნეტს ნაკლებად იყენებენ შედარებით ინტერაქტიული მიზნებისთვის. აქტიურ ონლაინ დიალოგში მონაწილეობის სურვილის ნაკლებობა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებითაც დასტურდება - ფორუმებსა და ონლაინ დისკუსიებში ინტერნეტ მომხმარებელთა დაახლოებით 4% მონაწილეობს. შედარებისთვის, იმავე გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 86% პოლიტიკურ მოვლენებზე დისკუსიას სახლში ამჯობინებს. ეს დასკვნები ემთხვევა IDFI-ის პროექტის, პოლიტიკური პარტიების, სამთავრობო დაწესებულებებისა და სოციალური მედიის Facebook გვერდების მონიტორინგის, ძირითად მიგნებებს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ სოციალურ აქტივისტთა უმეტესობა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს ძირითადად ინფორმაციის მიღებისთვის და უკეთეს შემთხვევაში, მეგობრებში ინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებს. საპირისპიროდ, ისინი ნაკლებ ინტერესს იჩენენ მრავალმხრივი კომუნიკაციის მიმართ.[17]

გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ სოციალურად აქტიური ადამიანები საკუთარ ვირტუალურ აქტივობებს არ გარდაქმნიან რეალურ ქმედებებად. მაგალითად, მრავალი Facebook ღონისძიება შეიქმნა ქვეყნისთვის პრობლემატურ საკითხებსა და გამოწვევებზე (მაგ., თბილისის გარეუბნებში ტყეების გაჩეხვა, უმცირესობების უფლებების დაცვა და ა.შ). შედეგად, ეს ონლაინ პლატფორმა ეფექტურად გამოიყენებოდა სამოქალაქო მობილიზაციისთვის. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მართალია ასობით ადამიანი ვირტუალურ მხარდაჭერას უცხადებდა ცალკეულ აქტივობებს, მაგრამ საბოლოოდ, მხოლოდ ათობით ადამიანი ესწრებოდა ფიზიკურად ამ ღონისძიებებს. ასევე,

[16] ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. კვლევის ანგარიში 2013. ბოლო ნახვა 21.09.2013. http://www.ndi.org/node/20641

[17] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. საქართველოში ელ-კომუნიკაციის განვითარება - საბოლოო ანგარიში. ბოლო ნახვა 15.09.2013, http://www.idfi.ge/?cat=news&lang=en&topic=393&header=

გამოჩნდა, რომ ბლოგერთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობაში, მცირეა აქტიურ ბლოგერთა ოდენობა, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებენ საკუთარ პოსტებს, ქმნიან კონტენტს და ერთვებიან სხვებთან დებატებში.[18]

ამგვარი ნაკლოვანებების მიუხედავად, ის ფაქტი, რომ რამდენიმე სოციალური აქტივობა და მრავალი ონლაინ პეტიცია გავრცელდა Facebook-ის მეშვეობით, წინ გადადგმული ნაბიჯის მაჩვენებელია. ეჭვგარეშეა, რომ სოციალურ ქსელები დისკუსიისა და ინფორმაციის გაცვლისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმებია. მიუხედავად ამისა, ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის ნაკლებობასთან ერთად, შეუფერებელი ფასები და ტექნოლოგიური ცოდნის ნაკლებობა აფერხებს ონლაინ პლატფორმებსა და დისკუსიებში მოქალაქეთა ჩართულობას. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები მიმდინარე მოვლენების შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაღებად დამოკიდებულნი არიან ტრადიციული მედია საშუალებების წარმომადგენლებზე (ძირითადად ტელევიზია).

ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების დარღვევა

Freedom House-ის 2012 წლის კვლევის „ინტერნეტისა და ციფრული მედიის გლობალური შეფასება“ მიხედვით, საქართველომ მე-14 ადგილი დაიკავა ინტერნეტ თავისუფლების კუთხით.[19] საქართველოს კანონის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, სასამართლოს ნებართვის შემთხვევაში, ვებ-გვერდებს, საფოსტო სერვისებს, ინტერნეტ სერვისების პროვაიდერებსა და კომპანიებს მოეთხოვებათ ძალოვანი სტრუქტურებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ პირადი საკომუნიკაციო საშუალებები, როგორიცაა ელ-ფოსტა და ჩეთი. Freedom House-ის ანგარიში აცხადებს, რომ საქართველოს სამთავრობო უწყებებს ადანაშაულებდნენ მიზანმიმართულ და შერჩევით მეთვალყურეობაში. [20] უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ცვლილების შემდეგ გამომჟღავნდა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ პოლიტიკურად მოტივირებული მეთვალყურეობის გამოყენების მრავალი ფაქტი. მიუხედავად ამისა, ძნელია არსებულ ტენდენციებზე მსჯელობა, რადგანაც ამ შემთხვევების გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

[18] ზაქარია ბაბუციძე, ქართული ბლოგოსფეროს სტრუქტურა და ინფორმაციის დიფუზიის მნიშვნელობა. პოლიტიკური კვლევის ევროპული კონსორციუმი, 2011 წლის 5 აგვისტო.
[19] ინტერნეტის თავისუფლება 2012, ინტერნეტისა და ციფრული მედიის გლობალური შეფასება, გვ. 21.: http://www.freedomhouse.org/sites/default/files/Freedom%20OnThe%20Net_Full%20Report.pdf
[20] იქვე., გვ.179.